შინაარსი

ა/--განმარტებითი ბარათი;

ბ/--კალენდარული გეგმა;

გ/--გრაფიკული ნაწილი: ნახაზი მო-1, მო-2

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო ობიექტი აშენდება ქ. თბილისში, ლადო ასათიანის ქ№22-ში, ს/კ 01.18.03.068.003. პროექტით გათვალისწინებულია არსებული სარდაფის /ისტორიული ძეგლის/ რეაბილიტაცია და ახალი მოცულობის მოწყობა. საპროექტო შენობა 7 სართულიანია /საიდანაც 2 მიწისქვეშა სართულია და 5 მიწისზედა სართულია/. შენობის კარკასი მონოლითური რკინაბეტონისაგან იქნება. გარე კედლები გათვალისწინებულია მცირე ბლოკებისაგან. შენობის დანიშნულება არის 75 ნომრიანი სასტუმრო მცირე ხნით დამკავებლებისათვის. 0.00 შეესაბამება 421.70მ-ს.

გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ამგებ გრუნტებში გამოყოფილია სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი:

--1 სგე----------ნაყარი გრუნტი /ფენა №1/;
--2 სგე----------თიხნარი /ფენა №2/;
--3 სგე----------ძირითადი ქანები /ფენა №3/.

ჰიდროგეოლოგიური პირობების მხრივ უბანი ხასიათდება გრუნტის წყლების გავრცელებით. გრუნტის წყალი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან 10.30—12.00 მ-ის სიღრმის ფარგლებში.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად, ანალოგი გვ. 486 პ. 1-ის T=14.00თვე, სადაც 1.00 თვე-მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 484, პ.2-ის მიხედვით T=14.00x1.10=15.50თვე. გვ 2 პ 11-ის მიხედვით T=15.50+5.50=21.00თვე. გვ 4 პ 17-ის მიხედვით **T=21.00x1.15=24.00 თვე.**

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

--დროებითი საფარიანი ღობის მოწყობა;
--გასაგორავებელი ჭიშკრის დაყენება;
--დროებითი "ნაგებობების" განლაგება უსაფრთხო ადგილზე, შიდა ეზოში;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
--ატმოსფერული წყლებისაგან სამშენებლო მოედნის დაცვა;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის მონტაჟი და შეერთება დროებით წყალსადენის ქსელთან.

3. პროექტით გათვალისწინებულია ძველი შენობის ნაწილის “4-5” ღერძებში რესტავრაცია. ნებისმიერი სამუშაოს განხორციელება ამ ნაწილის ირგვლივ უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილით და ხელით.

4. იმისთვის, რომ მშენებლობის პროცესში არ გაურესდეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა, აღმოსავლეთის დაც დასავლეთის მხრიდან უნდა გატარდეს კომპლექსური ღონისძიება ანუ:
--მოეწყოს მონოლითური რკინაბეტონის დასაბურღ-დასატენი ხიმინჯების მწკრივი /ძ=60სმ/;
--მოეწყოს ხიმინჯების შორის ცემენტის ხსნარის ინექციური ნარანდები /ძ=13-16სმ/;
--ეტაპობრივად ზევიდან ქვევით, მოეწყოს რკინაბეტონის პერანგი, რომელიც იქნება დამაკავშირებელი ხიმინჯების და ნარანდების კონსტრუქციის.

სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეს ქვაბულის ფერდის გამაგრება საჭირო არ არის. საპროექტო შენობის დაფუძნება განზორციელდეს შემკრივებული ღორღის მეშვეობით ძირითად ქანებზე.

გამაგრებასთან და ისტორიულ ნაწილთან სამუშაოების განხირციელება გათვალისწინდეს მარტო ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. სამუშაოების დროს მოხდეს “8” ღერძის გასწვრივ საპროექტო საყრდენი კედლის მოწყობა. “8” ღერძის გასწვრივ ძირითადი ქანების დამუშავებისას:
--დაქანების თანხვდენილი მოჭრებისას----------80^0;
--დაქანების მართობული მოჭრებისას----------35^0.

დამუშავების სიძნელის მიხედვით:
--ნაყარი გრუნტი--------სამივე სახეობით დამუშავებისას ---------2 ჯგუფი;
--თიხნარი----------სამივე სახეობით დამუშავებისას --------2 ჯგუფი;
--ძირითადი ქანები-----ხელით დამუშავებისას 6-7 ჯგუფი.

5. ახალი მოცულობის მოწყობა მონოლითურ რკინაბეტონის ვარიანტში მოხდეს ბეტონის ტუმბოს და საავტომობილო ამწის დახმარებით. შეზღუდული პირობების გამო სამშენებლო ტექნიკის “შემოსვლა” მოედანზე მოხდეს “უკუსვლით”. ბეტონის ტუმბოს პოზიციაზე საჭიროების შემთხვევაში დაყენდეს საავტომობილო ამწე, რომელიც მიაწოდებს სამშენებლო მასალას საჭირო სართულზე. უსაფრთხოების თვალსაზრისით “ა” და “დ-ე” ღერძების გასწვრივ, იატაკის დონეზე გაკეთდეს ბადიანი საფარები.

სამუშაოების განხორციელების **პირველი რიგი:**
--პირველი ეტაპი-------სამშენებლო მოედნის მოწესრიგება----------30 დღე;
--მეორე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის ზედაპირის ცვლილება----------15 დღე;
--მესამე ეტაპი----------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება----------15 დღე.

სამუშაოების განხორციელების **მეორე რიგი:**

--მეოთხე ეტაპი----------მიწის სამუშაოები, საძირკვლის ფუძის და საძირკვლის მოწყობა----------60 დღე;
--მეხუთე ეტაპი---------ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------60 დღე;
--მეექვსე ეტაპი----------ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა:
- 0.00-- +6.40მ-მდე----------90 დღე;
- +6.40-- +12.70მ-მდე----------90 დღე;
- +12.70-- +18.55მ-მდე----------90 დღე.

--მეშვიდე ეტაპი----------სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------120 დღე;
--მერვე ეტაპი----------ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა და ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟი----------60 დღე;
--მეცხრე ეტაპი----------გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------90 დღე;
--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------30 დღე

6. უსაფრთხოების ტექნიკა

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციია საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

7. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

საავტომობილო ამწე **KC-65717-34 / IVECO Trakker /-ის** ტექნიკური დახასიათება

1	ბაზა	IVECO Trakker
2	ბორბლების ფორმულა	6x6
3	სრული მასა	38.60ტნ
4	სიმძლავრე	420ცხ. ძალა
5	ტვირთამწეობა	2.00-14.50ტნ
6	ისრის სიგრძე	26.60მ
7	ისრის შვერა	24.00-8.00მ
8	აწევის სიმაღლე	26.00-2.0მ
9	ამწის ზომა	12.00x2.50x4.00მ
10	საყრდენების შორის მანძილი	8.85მ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1	მოცულობა	160.00მ^3/სთ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	შვერა	48.10
4	შლანგის სიგრძე	4.00მ
5	მანქანის სიგრძე	13.60მ
6	დგარების შორის მანძილი	10.20მ

ურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

შ.პ.ს. "სტუდია 9"

მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის № 22

მშენებლობის ორგანიზაციის ნაწილი

დირექტორი		თ. ხაშომია
პრ. ავტორი		მ. ჩხაიძე
არქიტექტორი		ბ. გეწაძე
		ე. ხაბეიშვილი
არქიტექტორი		დ. ხიზანიშვილი
		ბ. ზაკაშვილი
დაამუშავა		ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2020წ



შენიშვნა: 1. სამონტაჟო მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

2. შერდობის დამუშავება /"ბ" ლერძის გასწვრივ/ უნდა მოხდეს:

–დაქანების თანხვედრილი მოძრაობისას————80;

–დაქანების მართობული მოძრაობისას————35 °

STUDIO9
Architectural Design
www.studio9.ge

შ.პ.ს. "სტუდია 9"

პროექტის დასახელება Job Title

მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

მისამართი: Address

ქ. თბილისი, ლადო ასათიანის № 22

სტადია პროექტი

თ. ზამთმია

ნახაზის დასახელება Drawing title

სამონტაჟო სქემა

ფურცელი №	სულ.	ფურცლის ზომა
მრ-2	2	A3

მასშტაბი Drawing Scale 1:200

12.10.2022



მინაშენებლები

1 საპროექტო სახელმწიფო შენობა
2 ელ. ბენზინგასამართი პუნქტი
3 პარკინგის შენობა
4 რეკრეაციული საცურაო აუზი
5 რეკრეაციული ბილიარდის
6 ბილიარდი
7 საწოლიანობა მოზარდებისა "ლობით"
8 რეკრეაციული კლუბის "ლობით"
9 რეკრეაციული საკონფერენციო+საცურაო /ზაფხულის/
10 რეკრეაციული ღია
11 რეკრეაციული გასაბერი/ზაფხულის ბილიარდი
12 რეკრეაციული ღია საბადური
13 გეგმების ტაბლო Pulizmeter MB2-5

პროექტის ანონიმები

- საპროექტო შენობა
- საპროექტო შენობის მიწისქვეშა მოცულობის გარე კონტური
- საპროექტო შენობის საერთაშორისო ნაწილი
- არსებული შენობა
- დროებითი "ნაგებობა"

STUDIO9
Architectural Design
www.studio9.ge

შ.პ.ს. "სტუდია 9"

Pasted Image #4 9B1F69D6.jpg

მიწასარგებლობის კონფიგურაციის ცხრილი

ნაკვეთის ფართობი		0.9 ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი		0.9 ჰა
მშენებლობის ინტენსივობის კოეფიციენტი		1.5
მიწის ნაკვეთის ათვისების კოეფიციენტი		0.5
მინიმალური ბაღით დაფარული ფართობი		0.2
მაქსიმალური სიმაღლე		30 მ
მაქსიმალური სართულიანობა		8
მინიმალური უკანა ეზო		3 მ
მინიმალური გვერდითი ეზო		3 მ
მინიმალური წინა ეზო		3 მ
მინიმალური მანძილი ნაგებობებს შორის		6 მ
მინიმალური მანძილი ნაგებობებსა და ნაკვეთის საზღვარს შორის		3 მ
მანქანების სავალი ნაწილის სიგანე		6 მ
ავტოსადგომების რაოდენობა		100

საკონსულტაციო ორგანიზაცია

ბინათმშენებლობის ორგანიზაცია

ბ/ კალენდარული გეგმა 23.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |